



## სტუდენტის ხელშეკრულება №

ქ.ბათუმი.

თარიღი ----201-წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდგომში – აკადემია), წარმოდგენილი რექტორის - ირაკლი შარაბიძის სახით და მეორეს მხრივ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე/მობილობით/ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ სტუდენტი \_\_\_\_\_ (შემდგომში- სტუდენტი), ორივე ერთად წოდებული მხარეები), „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10/ნ ბრძანებისა და აკადემიის რექტორის №---- ----- ბრძანების შესაბამისად დენებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულებით განისაზღვრება ურთიერთობა აკადემიასა და აკადემიის ----- ფაკულტეტზე, ----- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს შორის.

### მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

#### 1. აკადემია ვალდებულია:

ა) შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ბ) შექმნას ყველა პირობა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ საგნებში მეცადინეობების მაღალ აკადემიურ და მეთოდურ დონეზე ჩასატარებლად;

გ) განახორციელოს სტუდენტის მომზადება და მისი ცოდნის შეფასება საერთაშორისო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

დ) უზრუნველყოს სტუდენტი პრაქტიკით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში;



ე) უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა იმ მატერიალურ ტექნიკურ საშუალებებისა, რომლებიც აუცილებელია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის (კომპიუტერული ტექნიკა, ბიბლიოთეკა, ტრენაჟორული დანადგარები და სხვა);

ვ) უზრუნველყოს სტუდენტისათვის საჭირო ნორმატიულ დოკუმენტების (საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, შეფასების სისტემა, აკადემიის შინაგანაწესი, წესდება, ეთიკის კოდექსი, დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები და სხვა) ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკაში, თვალსაჩინო ადგილებზე და დეკანატებში;

ზ) უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც დაუშვებელია სტუდენტის დისკრიმინაცია რელიგიური, რასობრივი, ნაციონალური, გენდერული და სხვა დისკრიმინაციული მოტივებით;

თ) უზრუნველყოს აკადემიის წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, დამატებითი მეცადინეობების ჩატარება იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც ვერ აითვისეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები;

ი) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემდეგ, გასცეს სტუდენტზე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დიპლომი და დიპლომის დანართი დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

## 2. სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები განათლებისა და ადამიანის უფლებების სფეროში;

ბ) დაიცვას საზღვაო აკადემიის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები;

გ) დაემორჩილოს აკადემიის რექტორის, რექტორის მოადგილის, ფაკულტეტის დეკანის, კურატორის, ოფიცერ-კოორდინატორის ბრძანებებს/მითითებებს;

დ) გაიაროს ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია დადგენილ ვადებში;

ე) შეასრულოს სტუდენტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ვ) აითვისოს საგანმანათლებლო პროგრამით ნორმირებული და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი კრედიტების რაოდენობა;

ზ) გაუფრთხილდეს საზღვაო აკადემიის ქონებას;

თ) შეასრულოს დღიური განაწესისა და სამორიგეო სამსახურის მოვალეობები;

ი) შეასრულოს აკადემიის წესდებით დადგენილი აკადემიის ტერიტორიაზე უნიფორმასთან და იერსახესთან დაკავშირებული მოთხოვნები;

კ) ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საზღვაო აკადემიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებში.



ლ) სტუდენტი ვალდებულია დეკანატს მიაწოდოს საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი, საკონტაქტო პირი - ოჯახის წევრი). შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს დეკანატს.

მ) საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში დამატებითი კრედიტების ათვისების მიზნით სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი კრედიტების სწავლის საფასური.

ნ) სტუდენტი ვალდებულია დაესწროს მეცადინეობებს. სტუდენტს, რომელსაც სემესტრის განმავლობაში, სასწავლო კურსზე დათმობილი მეცადინეობების 30%-ზე მეტში ექნება არასაკმაყოფილო გაცდენები, რეიტინგულ შეფასებაში ჩაეწერება 0 ქულა და სემესტრული შეფასება მოცემულ სასწავლო კურსში ჩამოყალიბდება მხოლოდ შეასემესტრული და დასკვნითი გამოცდების შედეგების (შეჯამების) საფუძველზე.

### **3. აკადემია უფლებამოსილია:**

ა) გამოიყენოს სტუდენტის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმები (მათ შორის გასცეს სტიპენდია), წესდებისა და სენატის გადაწყვეტილებების საფუძველზე;

ბ) გამოიყენოს სტუდენტის დისციპლინარული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმები აკადემიის წესდების, შინაგანაწესისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დებულების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

გ) შეუწყვიტოს ან შეუჩეროს სტუდენტს სტუდენტის სტატუსი აკადემიის წესდების, შინაგანაწესის, დისციპლინარული პასუხისმგებლობის დებულების მოთხოვნების უხეში დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური უკან არ დაუბრუნდება;

დ) შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი იმ სტუდენტებს, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისას ვერ დააგროვეს საჭირო კრედიტები, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ პირობებში;

ე) შეუჩეროს სტუდენტს სტუდენტის სტატუსი, თუ ის ვერ გადაიხდის შესაბამისი კრედიტების საფასურს ამ ხელშეკრულების მესამე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით.

### **4. სტუდენტი უფლებამოსილია:**

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ტრენაჟერული, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;



გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია საზღვაო აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების (მოდულების) სილაბუსები;

დ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და აკადემიის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კანონისა და აკადემიის წესდების შესაბამისად;

ე) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ვ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია დეკანატიდან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების (მოდულების) და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ზ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობისა და საგანმანათლებლო პროცესის შეფასება;

თ) დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ი) გაწევრიანდეს სხვადასხვა პროფესიულ ან/და სამეცნიერო ხასიათის კანონით ნებადართულ გაერთიანებაში;

კ) გაწევრიანდეს ლეგალურ პოლიტიკურ პარტიაში ან/და არასამთავრობო-საზოგადოებრივ გაერთიანებაში თავისი შეხედულებების მიხედვით;

ლ) აიღოს აკადემიური შვებულება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

მ) ისარგებლოს მობილობის წესით;

ნ) მოითხოვოს იმ კურსებისა და მოდულების თავიდან გავლა, რომლებშიც ვერ დააგროვა საჭირო კრედიტები, აკადემიის წესდებისა და აკადემიაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

ო) სტუდენტი, რომელმაც ვერ აითვისა ერთი და იმავე სასწავლო კურსის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები სამჯერ მოსმენის შემთხვევაში, უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ისარგებლოს შიდა მობილობით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში და გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სასწავლო კომპონენტი არ არის მის მიერ მიუღწეველი შედეგების მქონე საგანი.



### **მუხლი 3. ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია :**

1. აკადემიის სტუდენტი ვალდებულია ყოველი სემესტრის დასაწყისში გაიაროს ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია.
2. ფინანსური რეგისტრაციის გასავლელად სტუდენტმა უნდა დაფაროს აკადემიის მიერ დადგენილი სემესტრული სწავლის საფასური.
3. აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით სტუდენტი მიმართავს შესაბამის დეკანატს ან რეგისტრირდება ელექტრონულად. აკადემიური რეგისტრაცია შესაძლებელია, როგორც ელექტრონულად აკადემიის ვებ-გვერდის საშუალებით (24 საათის განმავლობაში), ასევე საზღვაო აკადემიაში შესაბამის ფაკულტეტზე ყოველ სამუშაო დღეს 11-საათიდან 17 საათამდე (შესვენება 13:00 – 14:00).
4. სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ჯერ ფინანსური და შემდეგ აკადემიური რეგისტრაცია. ფინანსური რეგისტრაციის დროს აუცილებელია გადაიხადილი იქნას ის თანხა რომელიც ანგარიშვაქტურაშია მითითებული. სტუდენტმა უნდა გადაიხადოს როგორც მიმდინარე სემესტრის საგნების, ასევე იმ საგნების საფასური, რომელთაც გადის განმეორებით.
5. ამ მუხლით განსაზღვრული ფინანსური და აკადემიური რეგისტრაციის ვადების დარღვევა იწვევს სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერებას.

### **მუხლი 4. ფინანსური ურთიერთობები**

1. სტუდენტმა სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი უნდა წარადგინოს დეკანატში, ხოლო პირველკურსელთა რეგისტრაციისას - სტუდენტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირთან.
2. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად სტუდენტი აკადემიას ყოველწლიურად გადაუხდის \_\_\_\_\_ (\_\_\_\_\_) ლარს;
3. სწავლის წლიური საფასური ჩარიცხულ უნდა იქნას აკადემიის საბანკო ანგარიშზე ორ ეტაპად:
  - ა) სწავლის წლიური საფასურის 50% საშემოდგომო სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე ან/და სენატის მიერ დადგენილ ვადებში;



ბ) სწავლის წლიური საფასურის 50% საგაზაფხულო სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე ან/და სენატის მიერ დადგენილ ვადებში;

გ) პირველკურსელებს ეძლევათ უფლება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასური ჩარიცხონ აკადემიის ანგარიშზე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში ან/და სენატის მიერ დადგენილ ვადებში.

4. სწავლის საფასურის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმებით, რის შესახებაც მხარეთა ინფორმირება უნდა მოხდეს არანაკლებ ერთი კალენდარული თვით ადრე.

5. აკადემიის სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვალდებულია ყოველი სასწავლო სემესტრის შემდეგ დავალიანებული კურსის ან მოდულის განმეორებით გავლისას გადაიხადოს გადასახადი შინაგანაწესით და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული წესით.

7. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

8. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, გრანტით გათვალისწინებული თანხის გადახდას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

9. მობილობის წესით გადმოსული სტუდენტის აკადემიაში ჩარიცხვის წინაპირობაა ფინანსური და აკადემიური რეგისტრაციის გავლა, რაც გულისხმობს გარკვეულ საგნებზე დარეგისტრირებას კრედიტების ათვისების მიზნით. მობილობით ჩარიცხული სტუდენტის მიერ სხვა სასწავლებელში მობილობით გადასვლის მიზნით სტატუსის შეჩერებისას გადახდილი სწავლის საფასური არ დაუბრუნდება.

### **მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტის პირობები**

1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვადის ხანგრძლივობით.

2. სტუდენტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის რექტორს;

3. აკადემიის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება აკადემიის შიდა ნორმატიული დოკუმენტით - შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში.



4. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან (ფინანსური რეგისტრაციის ვადის გასვლიდან) 2 კვირის ვადაში მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების უფლებას.

### მუხლი 6. სხვა პირობები

1. მხარეთა შორის წამოქმნილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

რექტორი: -----ი.შარაბიძე

----- ფაკულტეტის

ბ.ა.

მისამართი: ბათუმი 6010,

სტუდენტი:-----

რუსთაველის გამზ. 53;

Website: [www.bsma.edu.ge](http://www.bsma.edu.ge);

E-mail: [info.mf@bsma.edu.ge](mailto:info.mf@bsma.edu.ge);

ტელ.: (+995 422) 274851.

საბანკო რეკვიზიტები:

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო  
აკადემიის საიდენტიფიკაციო კოდი:  
245427337;

პირადობის

მოწმობის № \_\_\_\_\_

მიმღების დასახელება:

ხაზინის ერთიანი ანგარიში

პირადი № \_\_\_\_\_

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22.

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:  
709007289

საკონტაქტო

ტელეფონი: \_\_\_\_\_